ადრესატი:

ნინო ძიძიგური
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს აპარატი-პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი(აპარატის უფროსი)

წერილის ნომერი:**31-31233333**
თარიღი: **29/11/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის

ოქმი N1

ქ. ლანჩხუთი

24 ნოემბერი, 2023 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი.**

საკრებულოს წევრები: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე,** საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე,** საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე,** საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი,** საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ია მოქია,** საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე,** საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეები: **ლოლიტა ურუშაძე, ნინო მშიდობაძე, ვლადიმერ ნანაძე, კარლო წილოსანი, სპარტაკ კვაჭაძე, გოგი მორჩილაძე.**

მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი,** მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **პაატა ურუშაძე,** მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა,** მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი **მამუკა ვადაჭკორია,** მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ალეკო კირვალიძე,** მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **თენგიზ ხელაძე,** მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი **ვარდენ კვაჭაძე.**

საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) **ნინო ძიძიგური,** საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **ნანა ბზეკალავა,** საკრებულოს აპარატის საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ნუნუ სულაკაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში **რუსუდან გვარჯალაძე,** მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, GRC აღმასრულებელი დირექტორი **ამირან გიგინეიშვილი.**

ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები და თანამშრომლები: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დირექტორი **დიმიტრი მარშანიშვილი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის მთავარი ბუღალტერი **მედეა ხუხუნაიშვილი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის დირექტორი **ზაალ სანაძე,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის ბუღალტერი **ბიძინა ზენაიშვილი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამუსიკო სკოლათა გაერთიანების დირექტორი **ლია ურუშაძე,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამუსიკო სკოლათა გაერთიანების ბუღალტერი **ლანა ზურაბიანი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორი **გოჩა მოქია,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის საფინანსო განყოფილების უფროსი **კობა კუნჭულია,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი **გოდერძი ქურიძე,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მთავარი ბუღალტერი **ანზორ როყვა,** შ.პ.ს ლანჩხუთი-ს დირექტორი **ლევან იმნაძე,** შ.პ.ს ლანჩხუთი-ს ბუღალტერი **თემურ ხუხუნაიშვილი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბუღალტერი **ლუიზა სარიშვილი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოადგილე **მარინა კეიდია**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მთავარი ბუღალტერი **მარინა ქანთარია,** შ.პ.ს. ,,ტურიზმისსა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“ -ს დირექტორი **ეკატერინე ჩუბინაშვილი,** შ.პ.ს. ,,ტურიზმისსა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“ -ს ბუღალტერი **ლელი მშვიდობაძე,** ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის დირექტორი **დავით გოგიჩაიშვილი.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დღევანდელი შეხვედრის მთავარ თემას წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სფეროში ფინანსური კუთხით არის გარკვეული მატება. გასული წლის ბიუჯეტმა შეადგინა 18 513 371 ლარი. მატება არის 4 მლნ-ის ფარგლებში და ახალი ბიუჯეტი განისაზღვრა 22 755 258 ლარით. საკრებულოს ყველა ფრაქციამ და კომისიამ განიხილა ბიუჯეტის პროექტი. შესაბამისად, გამოითქვა გარკვეული შენივნები და წინადადებები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია** მიესალმა დარბაზში მყოფთ და აღნიშნა, რომ დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. ამასთან, ბიუჯეტის პროექტის ფორმირებაში აქტიურად

იყვნენ ჩართულები მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურები და ა(ა)იპ-ები. როგორც ცნობილია, წინასწარ დაანონსებული იყო შრომითი ანაზღაურების 10 %-იანი მატება, რამაც წინა წელთან შედარებით სახელფასო ფონდი გაზარდა 1 055 000 ლარის ფარგლებში. გარდა ამისა, საბავშვო ბაღებში დაანონსებული იყო ხელფასების 100 ლარიანი მატება, რომლის პროცედურები ახლაც მიმდინარეობს და უახლოეს პერიოდში საბოლოოდ განისაზღვრება თუ როგორ მოხდება ხელფასების ზრდა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ პროექტში არ არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, რადგან ეს მტკიცდება სახელმწიფო ბიუჯეტში რგფ-ის ფაგრლებში და შემდგომ, მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე ხდება მუნიციპალიტეტებისთვის შესაბამისი ფინანსების გამოყოფა.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 18492,0 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 990,9 თასი ლარით (5,7 %-ით). ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათ. ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა საკუთარი შემოსავლებით შეადგენს 22171,7 ათას ლარს (2023 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 2594,6 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 12824,7 ათასი ლარით. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 11,1 %-ით (1285,7 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით.

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1500,0 ათას ლარს. 2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 300 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 400,0 ათასი ლარით, მათ შორის: სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი ტრანსფერი (მიზნობრივი) 400.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დაფინასებაზე. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 20 ათ ლარით გაიზარდა (5,2%-ით) .

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 115,0 ათასი ლარის ოდენობით,.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 52,0 ათასი ლარის ოდენობით.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 3500.0 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 4,023.8 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 4,102.8 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 79,0 ათასი ლარს. ამავდროულად, ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათ.ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა საკუთარი შემოსავლებით შეადგენს 22171,7 ათას ლარს (2023 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 2594,6 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 2828,8 ათასი ლარი;

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2606,0 ათასი ლარი;

განათლება - 4462,8 ათასი ლარი;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 4551,9 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1350,6 ათასი ლარი;

მმართველობა - 6370,9 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 18,394.4 ათასი ლარით. მთლიანი სალდო განისაზღვრა -3,541.9 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 682.0 ათასი ლარით. ფინანსური აქტივების კლება 3,600.0 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე მოსალოდნელ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2024 წლის განმავლობაში.

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 58,1 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 145,0 ათას ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 116,0 ათასი ლარი.

GRC აღმასრულებელი დირექტორი **ამირან გიგინეიშვილი** დაინტერესდა, თუ რა არის 2024 წლისთვის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და როგორ მოხდა მათი განსაზღვრა. ასევე, მკვეთრად გაწერილია თუ არა პროგრამების შეფასების ინდიკატორი.

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიას** განმარტებით, ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2024-2027 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

რაც შეეხება პროგრამების შეფასების ინდიკატორს, ამ ეტაპისთვის პროექტში გარკვეულწილად წარმოდგენილია.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის

მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ:

- გათვალისწინებულია თუ არა საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ა(ა)იპ-ების მიერ გამოთქმული მოთხოვნები.

- მუნიციპალიტეტის შემოსავლებში, რომელიც განისაზღვრა 18 მლნ.-ის ფარგლებში, ვალდებულების მიხედვით, რამდენია სახელმწიფოს და თვითთმმართველობის ხვედრითი წილი.

ხელფასების 10 %-იან ზრდასთან დაკავშირებით, რა ოდენობის იქნება მაქსიმალური და მინიმალური მატება.

- მუნიციპალიტეტში აშენდა ორი ახალი საბავშვო ბაღი, ხოლო როგორც მისთვისაა ცნობილი, გაუქმდა ნიგვზიანის, ხიდმაღალას და ახალსოფლის საბავშვო ბაღები. აქედან გამომდინარე, გათვალისწინებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვების ტრანსპორტირების საკითხი.

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიას** განმარტებით, საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ა(ა)იპ-ების მიერ გამოთქმული მოთხოვნები ამ პროექტში გათვალისწინებული არ არის, მაგრამ შენიშვნები და წინადადებები ჩანიშნულია. შესაბამისად, განხილვის შედეგად, შესაძლებლობიდან გამომდინარე იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, ხოლო გარკვეული საკითხები პერიოდულად, ბიუჯეტის განხილვის პროცესში იქნება გათვალისწინებული. ბავშვების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის მხოლოდ შუხუთის საბავშვო ბაღში მოხდება მომსახურება. თუკი ახალი საბავშვო ბაღების გახსნის შემდეგ საჭიროება მოითხოვს, იქნება მსჯელობა და მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას, რადგან საკითხი ასევე მოითხოვს ტექნიკურ უზრუნველყოფას. 10 %-იან მატებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ძირითადად, ხელფასი გაიცემა დატვირთვის მიხედვით. შესაბამისად, მათ, ვინც იმყოფება ნახევარ განაკვეთზე ან არ აქვს ის მოცულობითი სამუშაო, რაც რეალურად ესაჭიროება სრულყოფილ ხელფასს, მატება შესაბამისად ექნება შედარებით დაბალი. რაც შეეხება შემოსავლებს, აქედან, 14 324 700 ლარი არის ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის პასუხისმგებლობა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ 18 მლნ. ლარში მხოლოდ 79 000 ლარია თვითმმართველობის პასუხისმგებლობა. მისი აზრით, ის, რომ მუნიციპალიტეტმა საკუთარი შემოსავალი მართოს თავისი მოსაზრების და საჭიროების მიხედვით, ამ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული არ არის.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, სახელმწიფო 18 მლნ. ლარს არ აძლევს მუნიციპალიტეტს. ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი, ჯარიმები და სანქციები ნამდვილად არ მოდის ცენტრალიზირებულად. სათვალთვალო კამერები მუნიციპალიტეტმა შეიძინა, რაშიც გადაიხადა 600 000 ლარი და განვადების თანხა სამ წელზეა გაწერილი. ბიუჯეტში გარკვეული ნაწილი სახელმწიფოს ვალდებულებაა. ასევე, არის სფეროები, რომელიც მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა. საკუთარი შემოსავალი არა 79 000 ლარი, არამედ, რამდენიმე მლნ. ლარია, რაც ყოველწლიურად იზრდება და ეს მისასალმებელი ფაქტია. გარდა ამისა, ხარჯების კუთხით, ბევრი ისეთი სიტუაციაა გათვალისწინებული ადგილობრვი ბიუჯეტიდან, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია. მათ შორის, სპორტული მოედნების და იმ ტექნიკის შეძენა, რაც წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტში პრობლემას წარმოადგენდა და უწევდათ დაქირავება. საერთო ჯამში, საკამოდ ბევრი საკითხია, რომელიც შეეცადნენ გაეწერათ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ხოლო თუკი მოხდება გაზრდა, მაშინ შესაძლებლობა ექნებათ, საკუთარი გადაწყვეტილების მიხედვით, ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებით განახორციელონ სხვადასხვა პროექტები. გარდა

ამისა, მიმდინარე წელს ზრდის შედეგად, მილიონ ლარზე მეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიმართა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე მათ შორის: ორი სპორტული მოედნის მოწყობა, ნიგოითში ი. ჭავჭავაძის სახ. ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია, ბაკურის გზის მოწესრიგება.

GRC აღმასრულებელი დირექტორმა **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ ორგანიზაციას ჰქონდა პროექტი, რომლის ფარგლებში უნდა მომხდარიყო ინტერნეტის შეყვანა სოფ. ორაგვეში, სადაც ვერ ხერხდება ტელემაუწყებლობა და ჭირს მობილური კავშირი, მაგრამ თანხის არ ქონის გამო ეს პროექტი ვერ განხორციელდა. საკითხის მოგვარებას ესაჭიროება მხოლოდ რამდენიმე ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდათ მზაობა, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში განხორციელებულიყო, მით უმეტეს, რომ დიდი თანხას არ საჭიროებდა, მაგრამ იურიდიულად არ იყო მართებული, რადგან პირდაპირ მუნიციპალიტეტის ვალდებულებით ვერ მოხდებოდა ინტერნეტის შეყვანა. უნდა იყოს ისეთი პროგრამა, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხდება თანადაფინანსება.

ამით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა დასრულდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე